ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2923391

ნომერი: AR1451082

თარიღი : 26.10.2016

გაცემის თარიღი : 03.11.2016

გაცნობის თარიღი : 03.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

კაიროს ქ. #19ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ დემეტრაძე პ/ნ 01010006142
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 15 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში დეტალურად და გარკვევით ასახეთ ინფორმაცია საპროექტო შენობის ფუნქციასთან დაკავშიირებით.

გაითვალისწინეთ „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს AR1412863 განცხადებაზე ატვირთული გენ–გეგმა, რომელზც შეთანხმებულ შენობასთან ერთად ასევე დატანილი იქნება საპროექტო შენობაც და მითითებული ექნება გაბარიტული ზომები, მათ შორის ობიექტებს შორის მიბმის მანძილები.

ფოტომონტაჟზე მიუთითეთ მანძილი არსებულ შენობასა და საპროექტო შენობას შორის, გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ ხდება არსებულ შენობაზე მიშენება, იგი ვერ განიხილება როგორც I კლასის მახასიათებლების ობიექტი და იგი თავისი მახასიათებლებით იქნება ისეთი კლასის რეკონსტრუქცია, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

წარმოსადგენია საპროექტო შენობის გეგმა ექსპლიკაციის დატანით.

ასევე წარმოდგენილი მინდობილობა სამსახურისთვის მისაღები არ არის რადგან მიმნდობები მინდობილობას გასცემენ საკუთარი სახელით და მინდობილ პირს უფლებამოსილებას ანიჭებენ იმოქმედოს, მათი, როგორც ფიზიკური პირის სახელით. ამასთან. სანოტარო აქტი არ არის წარმოდგენილი სრულყოფილი ფორმით. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საზოგადოების წარმომადგენლობასთან დაკავშირებული მინდობილობა, სრული ფორმით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.